საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-914

23/09/2019

ქ. თბილისი

სს „საქართველოს რკინიგზის“ „თბილისი-ბათუმის“ მაგისტრალური სარკინიგზო ხაზის „ხაშური-ხარაგაული-ზესტაფონის“ მოდერნიზაციის პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ახალი სარკინიგზო ხაზის 17+100 კმ-23+000 კმ-იანი მონაკვეთის პროექტში შეტანილ ცვლილებებთან დაკავშირებულ მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

2019 წლის 11 სექტემბერს სამინისტროს მომართა სს „საქართველოს რკინიგზის“ უფლებამოსილმა წარმომადგენელმა და ითხოვა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღება.

2014 წელს სამინისტროს მიერ სს „საქართველოს რკინიგზის“ „თბილისი-ბათუმის“ მაგისტრალური სარკინიგზო ხაზის „ხაშური-ხარაგაული-ზესტაფონის“ მოდერნიზაციის პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ახალი სარკინიგზო ხაზის 17+100 კმ-23+000 კმ-იანი მონაკვეთის პროექტში შეტანილ ცვლილებებთან დაკავშირებულ მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაიცა №11 (05.03.2014) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, პირი, რომელზედაც 2018 წლის 1 იანვრამდე გზშ-ის სფეროში გაცემულია შესაბამისი აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ვალდებულია 2021 წლის 1 იანვრამდე, განცხადების საფუძველზე მოითხოვოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა. სამინისტრო აღნიშნული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ამ კოდექსით გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის განსაზღვრული პროცედურების გარეშე, მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით მომზადდა მინისტრის ბრძანების პროექტი, რომლის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა 2014 წლის №11 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე და საქმიანობის განმახორციელებელს დაეკისრება ვალდებულება, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულება.

ამავდროულად ძალადაკარგულად ცხადდება „სს „საქართველოს რკინიგზის“ „თბილისი-ბათუმის“ მაგისტრალური სარკინიგზო ხაზის „ხაშური-ხარაგაული-ზესტაფონის“ მოდერნიზაციის პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ახალი სარკინიგზო ხაზის 17+100 კმ-23+000 კმ-იანი მონაკვეთის პროექტში შეტანილ ცვლილებებთან დაკავშირებულ მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014

წლის 7 მარტის №ი-133 ბრძანება, თუმცა აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით იურიდიულ ძალას ინარჩუნებს 2014 წლის №11 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც დანართის სახით დაერთვება მოცემულ გადაწყვეტილებას.

ზემოაღნიშნული გარემოებებისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სს „საქართველოს რკინიგზის“ „თბილისი-ბათუმის“ მაგისტრალური სარკინიგზო ხაზის „ხაშური-ხარაგაული-ზესტაფონის“ მოდერნიზაციის პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ახალი სარკინიგზო ხაზის 17+100 კმ-23+000 კმ-იანი მონაკვეთის პროექტში შეტანილ ცვლილებებთან დაკავშირებულ მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება თანდართული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე (დასკვნა №11; 05.03.2014);
2. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი ვალდებულია დაიცვას თანდართული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობები;
3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცეს განუსაზღვრელი ვადით;
4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სს „საქართველოს რკინიგზის“ „თბილისი-ბათუმის“ მაგისტრალური სარკინიგზო ხაზის „ხაშური-ხარაგაული-ზესტაფონის“ მოდერნიზაციის პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ახალი სარკინიგზო ხაზის 17+100 კმ-23+000 კმ-იანი მონაკვეთის პროექტში შეტანილ ცვლილებებთან დაკავშირებულ მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 7 მარტის №ი-133 ბრძანება;
5. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
6. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „საქართველოს რკინიგზას“;
7. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
8. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი